სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი

95037147627022

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220235649

რეგისტრაციის თარიღი

07.03.2022 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1
ტელეფონი: 599336099

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის შვიდ მარტს, მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1, მომმართა **ქრეიგ სთივენ ქრამერმა**, როგორც შპს **"სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404391136) დირექტორმა, რომელმაც ითხოვა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება სანოტარო ბიუროს გარეთ, მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #34, სართული 6. თარჯიმანი **თორნიკე პარხომენკო** (დაბადებული 17.02.1992, მცხოვრები: ქ. თბილისი, აწყურის ქუჩა 39, ბარათის ნომერი 20IC87066, პირადი ნომერი: 01011081564 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ, დიპლომი MH N001116 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) მოწვეულ იქნა. **თორნიკე პარხომენკომ** დამიდასტურა, რომ მათ იცის შესაბამისი (ინგლისური) ენა და იძლევა სწორი თარგმანის გარანტიას. მე ასევე დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. თარჯიმანი ასევე გავაფრთხილე არასწორი თარგმანის შემთხვევაში მისივე პასუხისმგებლობის შესახებ. სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილემ დაადასტურა თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის შესახებ. მე შევამოწმე **ქრეიგ სთივენ ქრამერის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ქრეიგ სთივენ ქრამერმა** (აშშ-ს მოქალაქე, დაბადების თარიღი: 10.06.1960. რეგისტრირებული მისამართი: თბილისი მცხეთის ქ. N 13 ბ. 19, პირადი # 01791047449, ბინადრობის მოწმობის სერია 19TR14637) მომმართა. მე აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, შემდეგ მას განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. მე ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22017305, 22/02/2022 16:40:35) და შპს **"სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404391136) წესდების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ **ქრეიგ სთივენ ქრამერი** ნამდვილად არის შპს **"სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404391136) დირექტორი. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წაიკითხა **ქრეიგ სთივენ ქრამერმა** და განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

რწმუნებულება

შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404391136), წარმოდგენილი დირექტორის, **ბ-ნ ქრეიგ სთივენ ქრამერის** (აშშ-ს მოქალაქე, დაბადების თარიღი: 10.06.1960. რეგისტრირებული მისამართი: თბილისი მცხეთის ქ. N 13 ბ. 19, პირადი # 01791047449, ბინადრობის მოწმობის სერია 19TR14637, აშშ-ს პასპორტის #539806625) სახით [შემდგომში: მარწმუნებელი ან საზოგადოება], წინამდებარე რწმუნებულებით, **საბა ჯიშიაშვილს**, პირადი ნომერი: 01025015578 [შემდგომში: რწმუნებული] ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

1. **რწმუნებული** იცავს და წარმოადგენს **მარწმუნებლის** ინტერესებს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოებში, არბიტრაჟში, მედიაციაში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებში, შესაბამისი სამოქალაქო, სისხლის ან/და ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას, საქართველოს სამინისტროებთან, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტების) დაწესებულებებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, მათ შორის, იუსტიციის სახლთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, საქართველოს ეროვნულ არქივთან, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან, ასევე, კერძო აღმასრულებლებთან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან, ასევე, ნოტარიუსებთან, შსს მომსახურების სააგენტოსთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან [შემდგომში: სახელმწიფო უწყებები], ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და ყველა და ნებისმიერ სხვა სუბიექტთან ურთიერთობებში, თავიანთ კომპეტენციებში შემავალ ყველა და ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით;

წინამდებარე რწმუნებულების განსახორციელებლად, **რწმუნებული** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით, როგორც თვითონ ჩათვლის საჭიროდ და მიზანშეწონილად, განსაზღვროს შინაარსი და პირობები, ხელი მოაწეროს და სახელმწიფო უწყებებში წარადგინოს და ჩააბაროს გარიგებები, ხელშეკრულებები, აქტები, განცხადებები, ცნობები, ყველა და ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელთა საფუძველზეც, მათ შორის და არა მხოლოდ, **მარწმუნებლის** სახელით, შეიძენს ან/და განკარგავს უძრავ-მოძრავ ქონებას ან/და სხვა აქტივებს; **რწმუნებული** უფლებამოსილია, სახელმწიფო უწყებებიდან გამოითხოვოს და ჩაიბაროს ყველა და ნებისმიერი დოკუმენტი (დედნები, ასლები); გადაიხადოს სახელმწიფო უწყებების მიერ დადგენილი საფასურები და მოსაკრებლები და შეასრულოს სხვა გადახდები; გაასაჩივროს სახელმწიფო უწყებების აქტები, მათ შორის და არა მხოლოდ, გადაწყვეტილებები,

დადგენილებები, ბრძანებები, ოქმები და ქმედებები; **წარმოადგინოს** მარწმუნებელი და მონაწილეობა მიიღოს წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით გამართულ განხილვებსა და წარმოებებში.

2. წინამდებარე რწმუნებულების განსახორციელებლად, **რწმუნებული** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ და მიზანშეწონილად, სასამართლოში, არბიტრაჟში, მედიაციაში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებში, პროკურატურაში, სხვა კომპეტენტურ უწყებებში, შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ქმედება, მათ შორის, ხელი მოაწეროს და წარადგინოს ყველა და ნებისმიერი დოკუმენტი, განცხადებები, სარჩელები, საჩივრები, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები; გამოითხოვოს და ჩაიბაროს ყველა და ნებისმიერი დოკუმენტი (დედნები, ასლები); გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, მათ შორის და არა მხოლოდ, საერთო სასამართლოებში განსახილველ სასარჩელო ან სხვა განცხადებებზე და საჩივრებზე და დაიბრუნოს იგი; გაასაჩივროს სასამართლოს, არბიტრაჟის, სხვა უწყებათა აქტები (გადაწყვეტილებები, განჩინებები, დადგენილებები და სხვა აქტები);

წინამდებარე რწმუნებულების განსახორციელებლად, **რწმუნებული** უფლებამოსილია, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილებანი, წარადგინოს მტკიცებულებები, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტების ცნობები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, დაუსვას შეკითხვები მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადოს შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები; შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი; გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა; მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი (შეგებებული სარჩელი); გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას მოთხოვნაზე; სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ განაცხადოს უარი; წარადგინოს მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და დაამთავროს საქმე მორიგებით; გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები; მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების, სამედიაციო მორიგებების ცნობა / აღსრულება; შეუზღუდავად ისარგებლოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებებითა და გარანტიებით;

წინამდებარე რწმუნებულების განსახორციელებლად, **რწმუნებული** უფლებამოსილია, მოითხოვოს, მიიღოს და წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი; აწარმოოს სააღსრულებო და გამარტივებული წარმოების საქმეები და მიიღოს მონაწილეობა შესაბამის მოქმედებებში; **მარწმუნებლის** სახელით, მიიღოს მიკუთვნებული ფული ან/და ქონება; გადაიხადოს / დაიბრუნოს შესაბამისი საფასურები; დაიბრუნოს სააღსრულებო ფურცელი ან უარი თქვას სააღსრულებო წარმოებაზე.

3. **რწმუნებული** უფლებამოსილია, წარმოადგინოს **მარწმუნებელი** საქართველოში არსებულ და მოქმედ ყველა ბანკში, მათ შორის და არა მხოლოდ, სს „თიბისი ბანკსა“ და სს „საქართველოს ბანკში“; მართოს და განკარგოს მარწმუნებლის ყველა ფინანსური აქტივი (მათ შორის და არა მხოლოდ, ფულადი სახსრები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები და სხვა), რომლებიც არსებობს საქართველოს ბანკებში, მათ შორის და არა მხოლოდ, სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „თიბისი ბანკში“ [შემდგომში: ბანკი ან ბანკები]; აღნიშნული უფლებამოსილებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, რწმუნებულის შემდეგ უფლებებს:

გახსნას, მართოს, განკარგოს და დახუროს ნებისმიერი ტიპის (მათ შორის, საბანკო დეპოზიტები) საბანკო ანგარიში ნებისმიერ ვალუტაში, გამოიტანოს თანხა ანგარიშიდან, შეიტანოს თანხა ანგარიშზე (ნებისმიერ ვალუტაში), შეასრულოს ნებისმიერი და ყველა საბანკო ტრანზაქცია (ოპერაცია) მარწმუნებლის ანგარიშიდან (მათ შორის, მომავალში გახსნილი ანგარიშებიდან), შეიტანოს / შეინახოს თანხები ან ფასიანი ქაღალდები მარწმუნებლის ანგარიშებზე, განკარგოს ამგვარ ანგარიშებზე არსებული ფული ან ფასიანი ქაღალდები, გაანაღდოს ფული, გადარიცხოს თანხები ანგარიშებიდან, განახორციელოს ვალუტის კონვერტაცია, მოქმედების ვადის გასვლამდე შეწყვიტოს სადეპოზიტო (ანაბრის) ხელშეკრულებები, გააგრძელოს სადეპოზიტო (ანაბრის) ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, ვადაგასული სადეპოზიტო (ანაბრის) ანგარიშებიდან გამოიტანოს თანხა, გადარიცხოს აღნიშნული თანხები ნებისმიერი მიმართულებით და ნებისმიერი ქვეყნის ფინანსურ დაწესებულებაში, გააფორმოს სადეპოზიტო (ანაბრის) ხელშეკრულებები და ნებისმიერი სხვა საჭირო დოკუმენტაცია ბანკში, დაამყაროს საკრედიტო ურთიერთობა ბანკებთან, ისესხოს ფინანსური სახსრები და იპოთეკით/გირავნობით დატვირთოს მარწმუნებლის აქტივები (მათ შორის, ნებისმიერი საბანკო ანგარიში), როგორც სესხის უზრუნველყოფის საშუალება, დაამზადებინოს, განაახლოს და მიიღოს ბანკის ნებისმიერი ტიპის პლასტიკური ბარათი (მათ შორის, საკრედიტო ან სადებეტო ბარათი), გასცეს და მიიღოს ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია (მათ შორის, ცნობები, ამონაწერები, თანხმობები და სხვა), დაარეგისტრიროს, მართოს, გამოიყენოს, შეცვალოს ან/და შეწყვიტოს ნებისმიერი საბანკო პროდუქტი/მომსახურება, ხელი მოაწეროს საბანკო პროდუქტის / მომსახურების ხელშეკრულებებს, გააქტიუროს და გამოიყენოს ინტერნეტბანკი და ისარგებლოს სხვა დისტანციური სერვისებით; ასევე, მიიღოს დიჯიპასი მარწმუნებლის ზემოთ ხსენებული საბანკო ანგარიშ(ებ)ის სამართავად / სარგებლობისთვის.

მარწმუნებლის სახელით, იქონიოს ბანკებთან ნებისმიერი ტიპის სამართლებრივი ურთიერთობა, შეასრულოს ყველა ქმედება, რაც, რწმუნებლის აზრით, საჭიროა ანდა სავალდებულოა მარწმუნებლის უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ხელშეკრულებებზე ხელმოწერას, გარანტიას, იპოთეკას, ყიდვა-გაყიდვას, გირავნობას, ოვერდრაფტს, საკრედიტო პროდუქტების მომსახურებას, საკრედიტო გარანტიის ნებისმიერ წერილს (საბანკო გარანტია ან მუდმივი გადახდის საკრედიტო წერილი), საბანკო ბარათებს და ნებისმიერი სხვა ტიპის შეთანხმებებს / ხელშეკრულებებს და ცვლილებებს; შეავსოს და/ან ხელი მოაწეროს განცხადებებს, სხვა დოკუმენტებს, შეავსოს ან/და ხელი მოაწეროს შესაბამისი ხელმოწერის ფორმებს; მარწმუნებლის ნებისმიერი აქტივი დატვირთოს გირავნობით/იპოთეკით ბანკის სასარგებლოდ, შეიტანოს ცვლილება, განაახლოს ან შეწყვიტოს ხელშეკრულებები, აგრეთვე, მიიღოს ამასთან დაკავშირებით ნებისმიერი დოკუმენტი და ცნობა და საჭიროებისამებრ დაარეგისტრიროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უფლებები / შეზღუდვები.

4. **რწმუნებული** უფლებამოსილია, წარმოადგინოს **მარწმუნებელი** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში და მოაგვაროს ყველა და ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაკავშირებული იქნება საგადასახადო დეკლარაციების შევსება-წარდგენასთან, დაბეგვრასთან და გადასახადების გადახდასთან, გადამხდელად აღრიცხვასთან, სალარო აპარატების აღებასთან; შეუზღუდავად ისარგებლოს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებებითა და გარანტიებით; აღნიშნული მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა და ნებისმიერი ხელმოწერა და ქმედება;

5. **რწმუნებული** უფლებამოსილია, იყოს **მარწმუნებლის** წარმომადგენელი საბაჟო ორგანოებში, გაფორმების ეკონომიკურ ზონებში, შეასრულოს ყველა და ნებისმიერი საბაჟო ფორმალობა და პროცედურა, გაგზავნოს და მიიღოს ნებისმიერი ტვირთი; უზრუნველყოს მიღებული ტვირთის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება; გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები, მოსაკრებლები, სხვა გადასახდელები; შეუზღუდავად ისარგებლოს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებებითა და გარანტიებით; აღნიშნული მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა და ნებისმიერი ხელმოწერა და ქმედება; **რწმუნებული** უფლებამოსილია, განკარგოს ტვირთი;

6. **რწმუნებული** უფლებამოსილია, წარმოადგინოს **მარწმუნებელი** სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტების) ორგანოებში, მათ არქიტექტურის სამსახურებში, მშენებლობის ნებართვის გამცემ ან/და სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ უწყებებში, სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის ყველა და ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, წარადგინოს, შეიტანოს ცვლილებები, შეათანხმოს სამშენებლო პროექტები, მიიღოს მშენებლობის ნებართვები, უზრუნველყოს მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება; ხელი მოაწეროს და წარადგინოს, გამოითხოვოს და ჩაიბაროს ყველა და ნებისმიერი დოკუმენტი (დედნები, ასლები); დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შემდგარ ადმინისტრაციულ წარმოებებში; შეუზღუდავად ისარგებლოს საქართველოს სამშენებლო კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებებითა და გარანტიებით; აღნიშნული მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა და ნებისმიერი ხელმოწერა და ქმედება.

7. **რწმუნებული** უფლებამოსილია, წარმოადგინოს **მარწმუნებელი** სატელეკომუნიკაციო და კომუნალური მომსახურების კომპანიებთან ურთიერთობებში და მოაგვაროს ყველა და ნებისმიერი საკითხი, რაც დაკავშირებული იქნება საზოგადოების მიერ სატელეკომუნიკაციო და კომუნალური სერვისების მიღებასთან, საზოგადოების ობიექტების გამრიცხველიანებასთან, მიღებული სერვისების ღირებულებების გადახდასთან, რა მიზნითაც, **რწმუნებული** უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა და ნებისმიერი ხელმოწერა და ქმედება;

8. **რწმუნებული** უფლებამოსილია, **მარწმუნებლის** სახელით, საკუთარი შეხედულებისამებრ, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ და მიზანშეწონილად, ნებისმიერი ფორმით განკარგოს **მარწმუნებლის** კუთვნილი ნებისმიერი მოძრავი და უძრავი ქონება და სხვა აქტივები; შეიძინოს ნებისმიერი მოძრავი და უძრავი ქონება და სხვა აქტივები და კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებში აღრიცხოს ისინი **მარწმუნებლის** საკუთრებში; იკისროს ვალდებულებები და ნებისმიერი ფორმით დატვირთოს **მარწმუნებლის** ქონება; აღნიშნული მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია, შეუზღუდავად წარმოადგინოს მარწმუნებელი ყველა და ნებისმიერ მესამე პირთან ურთიერთობაში, გააფორმოს ყველა და ნებისმიერი გარიგება და ხელშეკრულება ყველა და ნებისმიერი პირობით (მათ შორის, საკუთარ თავთან), საკუთარი შეხედულებისამებრ, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ და მიზანშეწონილად, ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად განსაზღვროს გარიგებებისა და ხელშეკრულებების პირობები, კომერციული პირობების ჩათვლით; **მარწმუნებლის** სახელით, მიიღოს გარიგებებითა და ხელშეკულებებით განსაზღვრული შესრულებები; შეუზღუდავად ისარგებლოს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებებითა და გარანტიებით; შეასრულოს ყველა და ნებისმიერი ხელმოწერა და ქმედება, რაც გამომდინარეობს ანდა დაკავშირებული იქნება **საზოგადოების** საქმიანობასთან.

9. **რწმუნებული** უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა და ნებისმიერი სხვა ისეთი ქმედება, რაც პირდაპირ მოცემული არ არის ამ რწმუნებულებაში, მაგრამ საჭიროა მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად. არავის აქვს უფლება, ეჭვის ქვეშ დააყენოს **რწმუნებულის** ამ რწმუნებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები და

მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა იმ ფაქტის გამო, რომ ეს რწმუნებულება არ შეიცავს **რწმუნებულის** უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს.

10. **რწმუნებული** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ და მიზანშეწონილად, სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს მესამე პირებს წინამდებარე რწმუნებულებით მისთვის მინიჭებული უფლებები.

მინდობილობა ძალაშია 2024 (ორი ათას ოცდაოთხი) წლის 7 (შვიდ) მარტამდე.მინდობილობა გაცემულია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი – მიეცა მარწმუნებელს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან; 2. შპს **"სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს** წესდება. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ბაჟი, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად 20 (ოცი) ლარი, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 37.40 (ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

მარწმუნებელი: CRAIG STEVEN KRAMER

ქრეიგ სთივენ ქრამერი
(შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს დირექტორი)

თარჯიმანი

თორნიკე პარხომენკო

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი

GEORGIA
NOTARY DEED

On March seven of two thousand and twenty-two, I, **Notary DAVIT CHALATASHVILI**, whose notary bureau is located at: Tbilisi, Sanapiro 2a, #1, was applied by **CRAIG STEVEN KRAMER** as the Director of **SUN PETROLEUM GEORGIA LLC** (I/N 404391136) who requested execution of a bilingual Power of Attorney (Georgian-English) with participation of a translator. The translator **TORNIKE PARKHOMENKO** (DOB 17.02.1992, place of residence: Tbilisi, 39 Atskuri Street, card number 20IC87066, Personal Number: 01011081564 issued by the Ministry of Justice, Diploma MH N001116 issued by Tbilisi State University) has been invited. TORNIKE PARKHOMENKO confirmed that they properly know the relevant (English) language and guarantees the correctness of translation. I got convinced in his legal capacity. I warned the translator regarding his responsibility in case of incorrect translation. All participants of notary act have been warned about circumstances excluding his participation of the translator, all participants of notary act confirmed the absence of excluding circumstances. I checked **CRAIG STEVEN KRAMER's** identity with provided identity document and got convinced that I was really applied by **CRAIG STEVEN KRAMER** (US Citizen, Date of Birth: 10.06.1960, Registered Address: Tbilisi, Mtskheta Street N13, Apartment 19, Personal # 01791047449, Residence Card Series 19TR14637). I checked his legal capacity and made sure that I had no reason to doubt his legal capacity, I also checked his authority according to the extract from the register of entrepreneurs and non-entrepreneurial (non-commercial) legal entities (registration number of the application, date of preparation: B22017305, 22/02/2022 16:40:35) and on the basis of Charter of **SUN PETROLEUM GEORGIA LLC** (I/N 404391136) and made sure that **CRAIG STEVEN KRAMER** is really the director of **SUN PETROLEUM GEORGIA LLC** (I/N 404391136). Then I compiled the text of the power of attorney, **CRAIG STEVEN KRAMER** read and declared that it exactly expresses his will and personally signed the Power of Attorney in my presence.

POWER OF ATTORNEY

SUN PETROLEUM GEORGIA LLC (ID No. 404391136), represented by its Director, **Mr. Craig Steven Kramer** (Passport Number: 539806625, USA; Personal Number: 01791047449, Georgia) [hereafter: the Principal or the Company], hereby grants to **Saba Jishiashvili** (Personal Number: 01025015578) [hereafter: the Attorney] the following authorities:

1. **The Attorney** protects and represents the interests of **the Principal** before the courts of all instances of Georgia, in arbitration, mediation, bodies conducting operative-investigative activities, in pursuing respective civil, criminal and/or administrative proceedings, with the Ministries of Georgia, state and local government (municipal) authorities, administrative bodies, legal entities of public law, including, Public Service Hall, Public Service Development Agency, National Agency of Public Registry, National Archives of Georgia, National Bureau of Enforcement, as well as, with Private Bailiffs, Notary Chamber of Georgia, as well as, with Notaries, Service Agency of the MIA of Georgia, Levan Samkharauli National Forensics Bureau, Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia, National Agency of State Property [hereafter referred to as the State Agencies], in relationships with individuals and legal entities and all and any other persons, in regards with all and any matters under their competent authority;

In order to carry out this Power of Attorney, **the Attorney**, within his sole discretion, as he may so deem necessary and appropriate, is authorized to determine the content and terms of, to sign and submit agreements, contracts, deeds, applications, references, all and any other documents with the State Agencies, upon which, including but not limited to, on behalf of **the Principal**, **the Attorney** acquires and/or administers movable and immovable property and/or other assets; **The Attorney** is authorized to request and receive all and any documents (originals, copies) from the State Agencies; to pay fees and duties as set by the State Agencies and make other payments; to appeal against acts of the State Agencies, including but not limited to, judgments, ordinances, decrees, reports and deeds; to represent **the Principal** and participate in hearings and proceedings held in regards with the submitted appeals.

2. In order to carry out this Power of Attorney, **the Attorney**, within sole discretion, as he may so deem necessary and appropriate, is authorized before the court, arbitration, mediation, bodies conducting operative-investigative activities, Prosecutor's office and other competent authorities, to perform all and any deeds provided by the legislation of Georgia, including, to sign and submit all and any documents, applications, lawsuits, complaints, appeals and cassations; to request and receive all and any documents (originals, copies); to pay state duty, including but not limited to, on statements of claim or other applications and appeals to be reviewed by common courts and receive refund thereof; to appeal legal acts (judgments, rulings, ordinances and other acts) of courts, arbitration and other authorities;

In order to carry out this Power of Attorney, **the Attorney** is authorized to familiarise himself with case material, make extracts from this material, make copies, appeal for recusals, submit evidence, including, conclusions of experts (expert institutions), certificates issued by specialists, participate in examining evidence, put questions to witnesses, experts, specialists, file motions to a court, provide a court with oral and written pleadings, present decisions delivered by other courts on similar cases, present his own conclusions and state his opinions on all issues arising during the review of a case, object to motions, conclusions and opinions of the other party; to change the grounds for or the subject of the claim; to increase or reduce the amount of the claim; to acknowledge the claim (counter-claim) partially or in its integrity; to withdraw lawsuit without renouncing a claim; to renounce the claim partially or in its integrity; to present an act of settlement at any stage of the proceedings and settle on the claim amicably; to appeal court judgments and rulings; to request recognition / enforcement of arbitration awards and agreements resulting from mediation; to enjoy without restriction other rights and guarantees provided by the procedural legislation of Georgia;

In order to carry out this Power of Attorney, **the Attorney** is authorized to request, receive and submit for enforcement the writ of execution; to pursue enforcement and summary proceedings and participate in respective activities; On behalf of **the Principal**, to receive an awarded property and/or money; to pay respective fees and receive refund thereof; to return back the writ of execution or renounce enforcement proceedings.

3. **The Attorney** is authorized to represent **the Principal** in all banks existing and operating in Georgia, including but not limited to **JSC TBC Bank** and **JSC Bank of Georgia**; to manage and dispose of all financial assets of **the Principal** (including but not limited to cash, bonds, securities, etc.) that exist in Georgian banks, including but not limited to, **JSC TBC Bank** and **JSC Bank of Georgia** [hereinafter referred to as the Bank or the Banks]; These authorities are inclusive of, but not limited to, the following rights of the Attorney:

To open, manage, dispose of and close any type of bank account (including, bank deposits) in any currency, to withdraw funds from, to deposit funds in the account (in any currency), to execute all and any bank transactions (operations) from the accounts of **the Principal** (including, from future accounts), deposit / save funds or securities in the accounts of **the Principal**, to dispose money or securities kept on such accounts, withdraw money, transfer funds from the accounts, to exchange currency, to terminate deposit agreements before expiration, to extend validity terms of deposit agreements, to withdraw funds from overdue deposit accounts, to transfer these funds to any direction and financial institution of any country, to enter into deposit agreements and any other required documentation with the Bank, to establish credit relationship with the Banks, to borrow funds and mortgage / pledge the Principal's assets (including any bank account) as a security of loan, to request to prepare, renew and receive any type of bank card (including, credit or debit card), provide and receive any type of information (including, references, extracts, consents, etc.), register, manage, use, modify and/or terminate any banking product/service, to sign banking product/service agreements, to activate and use Internet Banking and other distant services; as well as, to receive Digipass to manage / use the above mentioned bank accounts of **the Principal;**

On behalf of **the Principal, the Attorney** is authorized to conduct any type of legal relationship with the Banks, perform all actions that **the Attorney** deems necessary and/or mandatory for proper exercise of the rights of **the Principal**, including but not limited to, signing contracts, guarantee, mortgage, sale and purchase, pledge, overdraft, credit products service, any credit guarantee letter (bank guarantee or permanent letter of credit), bank cards and any other type of agreements / contracts and amendments; to fill and/or sign applications, other documents, respective signature forms; to mortgage/pledge any assets of **the Principal** in favor of the bank; to make amendments, renew or terminate contracts, as well as, to receive any documents and references in this regard and, upon necessity, to register rights / restrictions in the LEPL National Agency of Public Registry.

4. **The Attorney** is authorized to represent **the Principal** in the Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia and resolve all and any matters related to filing and submission of tax returns, taxation and payment of taxes, registering as a taxpayer and receiving cash registers; to enjoy without restriction other rights and guarantees provided by the tax legislation of Georgia; For this purpose, **the Attorney** is hereby authorized to perform all and any signatures and deeds;

5. **The Attorney** is authorized to be the representative of **the Principal** before the customs agencies, economic clearance zones; to perform all and any customs formalities and procedures, to send and receive any type of goods; to ensure transportation of the received goods to the place of destination; to pay respective taxes, duties and make other payments; to enjoy without restriction other rights and guarantees provided by the customs legislation of Georgia; For this purpose, **the Attorney** is hereby authorized to perform all and any signatures and deeds; the Attorney is authorized to administer the goods;

6. **The Attorney** is authorized to represent **the Principal** in state and local government (municipal) authorities, their architecture services, bodies issuing construction permits and/or conducting state supervision, in regards with all and any matters related to spatial planning, architectural and construction activities, including to submit, amend, ensure approving of construction designs and obtaining construction commencement permits, commissioning of built facilities; to sign and submit, request and receive all and any documents (originals, copies); to independently participate in administrative proceedings held regarding these matters; to enjoy without restriction other rights and guarantees provided by the construction legislation of Georgia; For this purpose, **the Attorney** is hereby authorized to perform all and any signatures and deeds;

7. **The Attorney** is authorized to represent **the Principal** in relationships with telecommunication and public utility providers and to resolve all and any matters related to procuring telecommunication and public utility services by the Company, installing meters on Company facilities, reimbursement of procured services; For this purpose, **the Attorney** is authorized to perform all and any signatures and deeds;

8. The **Attorney** is authorized, within his sole discretion, as he may so deem necessary and appropriate, on behalf of **the Principal**, to administer movable and immovable property and/or other assets; to acquire movable and immovable property and other assets and register the title of **the Principal** with the competent State Agencies; to make commitments and pledge the property of **the Principal** in any form; For this purpose, the **Attorney** is authorized to represent without restriction **the Principal** in relationships with all and any third parties, to execute all and any agreements and contracts with all and any terms (including with himself); The **Attorney**, within his discretion, as he may so deem necessary and appropriate, is authorized to solely and independently determine the terms of agreements and contracts, including commercial terms; On behalf of **the Principal**, to receive performances provided in agreements and contracts; to enjoy without restriction other rights and guarantees provided by the civil legislation of Georgia; to perform all and any signatures and deeds that are or will be related to the operations of the **Company**.

9. The **Attorney** is hereby entitled to perform all and any other acts which are not directly stipulated by this Power of Attorney but are necessary to protect the interests of the Principal. No one is entitled to question the rights of the Attorney enshrined by this Power of Attorney and request for additional documents based on the fact that this Power of Attorney does not contain an exhaustive list of the powers of the Attorney.

10. The **Attorney**, within his sole discretion, as he may so deem necessary and appropriate, is authorized to transfer, in whole or in part, the rights conferred on him by this Power of Attorney to the third parties completely or partially.

The power of attorney is valid until March 7 (seven) 2024 (two thousand twenty-four). Power of Attorney is issued in three copies; one copy is kept in the archives of the notary DAVIT CHALATASHVILI and others were given to Principal. The following documents are attached to the copy of the power of attorney that remains in the notary office: 1. Extract from the register of entrepreneurs and non-entrepreneurial (non-commercial) legal entities; 2. Charter of SUN PETROLEUM GEORGIA LLC. In compliance with Articles 31 of # 507 resolution "on the price fixed for execution of notary actions and the amount of price, the rule of his payment and the service terms established for Notary Chamber of Georgia" by the government of Georgia as of 29.12.2011 and paragraph 5 of Article 52 of Decree # 71 "on approval of the instruction for the rule of execution of the notary actions" by the Minister of Justice of Georgia, the fee amounted to 10 GEL + 2.00 GEL the fee for registration in Electronic Notary Registry in accordance with Article 39, 20 (twenty) GEL in accordance with the second paragraph of Article 34 of the above-mentioned Resolution of the Government of Georgia; + VAT-5.40 according to 166 article of Tax Code of Georgia total amount - 13.80 GEL has been paid.

Principal: CRAIG STEVEN KRAMER CRAIG STEVEN KRAMER

(Director of SUN PETROLEUM GEORGIA LLC)

Translator FORNIKE PARKHOMENKO

Notary Davit Chalatashvili

